

შპს ტურისტული კომპანია ჯორჯიან ჰოლიდების
ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის
დასრულებული წლისთვის.
(მსს ფასს)

სარჩევი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
1. ზოგადი ინფორმაცია.....	6
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	6
3. ამონაგები	9
4. გაწეული მომსახურების თვითღირებულება.....	9
5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	10
6. სხვა საოპერაციო ხარჯები.....	10
7. მოგების გადასახადი.....	10
8. ძირითადი საშუალებები	11
9. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	11
10. საგადასახადო აქტივები	12
11. სესხები და კრედიტები	12
12. საწესდებო კაპიტალი	13
13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	13
14. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ.....	14

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნები	2019	2018
ამონაგები	3	7,117,674	3,218,249
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	4	(5,440,019)	(2,395,337)
საერთო მოგება		1,677,655	822,912
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(550,318)	(441,190)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		48,215	14,216
სხვა საოპერაციო ხარჯები	6	(94,550)	(65,487)
საოპერაციო მოგება		1,081,002	330,451
ფინანსური შემოსავალი		2,095	-
ფინანსური ხარჯი		(13,423)	-
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(11,328)	-
მოგება დაბეგვრამდე		1,069,674	330,451
მოგების გადასახადის ხარჯი	7	(62,428)	(3,114)
მიმდინარე წლის მოგება		1,007,246	327,337
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		491,843	426,301
დივიდენდები	12	(576,812)	(261,795)
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		922,277	491,843

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნები	2019	2018
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	9	274,891	198,014
საგადასახადო აქტივები	10	372,399	85,897
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		62,712	46,313
გადახდილი ავანსები		95,069	83,827
მარაგები		280	280
		805,351	414,331
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	616,704	163,195
		616,704	163,195
სულ აქტივები		1,422,055	577,526
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავალი		(15,128)	(56,159)
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		(10,607)	(5,645)
მოკლევადიანი სესხები	11	(80,595)	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
		(106,330)	(61,804)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	(369,569)	-
		(369,569)	-
სულ ვალდებულებები		(475,899)	(61,804)
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	(23,879)	(23,879)
გაუნაწილებელი მოგება		(922,277)	(491,843)
		(946,156)	(515,722)
სულ კაპიტალი		(946,156)	(515,722)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		(1,422,055)	(577,526)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე		1,069,674
<i>კორექტირებები:</i>		
ცვეთა და ამორტიზაცია		32,554
საპროცენტო შემოსავალი		(2,095)
საპროცენტო ხარჯი		1,156
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსულობები		(48,215)
		1,053,074
<i>კორექტირებები:</i>		
ზრდა სავაჭრო და სხვა მოკლევადიან მოთხოვნებში		(15,404)
ზრდა საგადასახადო აქტივებში		(350,919)
ზრდა გადახდილ ავანსებში		(11,242)
კლება გადავადებულ შემოსავალში		(41,031)
ზრდა სავაჭრო და სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში		4,962
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		639,440
მიღებული პროცენტი		2,095
გადახდილი პროცენტი		(1,156)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		640,379
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა		(486,063)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		(486,063)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
შემოსულობები ნასესხები სახსრებიდან		453,894
ნასესხები სახსრების დაფარვა		(3,730)
გადახდილი დივიდენდები	12	(576,812)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		(126,648)
წმინდა ზრდა ფულში და ფულთან გათანაბრებულ ინსტრუმენტებში		27,668
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსულობები, ფულზე და ფულთან გათანაბრებულ ინსტრუმენტებზე		49,209
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები წლის დასაწყისში		198,014
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები წლის ბოლოს	9	274,891

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ტურისტული კომპანია ჯორჯიან ჰოლიდის“ დაფუძნდა 2006 წლის 19 ოქტომბერს და მას შემდეგ ეწევა უცხოელი ტურისტების ორგანიზებულ შემოყვანას და მათთვის ტურისტული პაკეტების მიწოდებას. კომპანიის გაყიდვების არეალი უცხოური ბაზრებია. მომსახურების გაწევის არეალი საქართველოა.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ თბილისი, ძველი თბილისის რაიონში, წინამძღვრიშვილის №87. მისი რეგისტრაციის ნომერია (საიდენტიფიკაციო კოდია) 202355584. კომპანიის 100%-იანი მფლობელი და დირექტორი არის მანანა ცირაშვილი, პირადი ნომრით 01030004200.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოცემული *მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის* შესაბამისად.

კომპანიის საოპერაციო ვალუტაა ქართული ლარი (GEL), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის ანგარიშგების ვალუტას. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს სავალუტო ერთეულამდე.

(a) ამონაგების აღიარება

შემოსავლის 99%-ის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე, რადგან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის 4 ქვეპუნქტის თანახმად, ტუროპერატორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტულ ობიექტებში უცხოელი ტურისტების ორგანიზებული შემოყვანა და მათთვის საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტული მომსახურების პაკეტის მიწოდება ჩათვლის უფლებით განთავსების უფლებებზეა დღგ-საგან. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

კომპანია ტურისტული პაკეტის მიღებული შეკვეთისათვის განსაზღვრავს ფასს და შესაბამის ინვოისს უგზავნის მომხმარებელს, ძირითადად, ტურისტული პაკეტის უშუალოდ განხორციელებამდე ხდება მომხმარებლის მიერ თანხის გადახდა, რომელიც მიღებულ ავანსებში (გადავადებულ შემოსავალში) აღირიცხება. არის შემთხვევები, როდესაც ავანსის მიღებამდე კომპანია ხელშეკრულების მიხედვით გასწევს ტურისტული პაკეტის მომსახურებას, რომელიც დებიტორულ დავალიანებად (სავაჭრო მოთხოვნად) აღირიცხება.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება.

(b) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადი, რომელიც ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას. დასაბეგრი მოგება იყოფა ორ ნაწილად: გაცემულ დივიდენდზე დარიცხული მოგების გადასახადი და არაეკონომიკურ საქმიანობაზე გაწეულ ხარჯზე დარიცხული მოგების გადასახადი. გაცემულ დივიდენდზე დარიცხული მოგების გადასახადი ასევე იყოფა ორ ნაწილად, 2017 წლამდე გადახდილი მოგების გადასახადი, რომლის ჩათვლაც ხდება 2019 წელს და რომლის ჩათვლაც აღარ ხდება, რადგან დივიდენდის გაცემის კონკრეტული მომენტისთვის ამოწურულია 2017 წლამდე გადახდილი აკუმულირებული მოგების გადასახადი.

(c) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების განსაზღვრული ვადაა 5 წელი.

(d) აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების (რომელიც აღრიცხული არ არის გადაფასების მოდელის შესაბამისად) განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(e) მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება „პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში“ (ფიფო) მეთოდი.

(f) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

არის შემთხვევები, როდესაც ავანსის მიღებამდე კომპანია ხელშეკრულების მიხედვით გასწევს ტურისტული პაკეტის მომსახურებას, რომელიც დებიტორულ დავალიანებად (სავაჭრო მოთხოვნად) აღირიცხება.

მოთხოვნა აღიარდება მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით. დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(g) სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით. ვალდებულებას პროცენტი არ ერიცხება.

(h) სესხები და კრედიტები

კომპანია აღრიცხავს მის სასესხო ვალდებულებებს ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

(i) დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

(j) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება ეროვნულ ვალუტაში, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის ეროვნულ ვალუტაზე გადასაცემელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკუროს სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაცემად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3. ამონაგები

ლარი	2019	2018
სერვისი არარეზიდენტი ტურისტებისთვის	7,060,652	3,164,092
სერვისი რეზიდენტი ტურისტებისთვის	57,022	54,157
სულ ამონაგები	7,117,674	3,218,249

შემოსავალი არარეზიდენტი ტურისტებისთვის გაწეული მომსახურებიდან საქართველოს კანონმდებლობით განთავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისგან (დღგ). სერვისი რეზიდენტი ტურისტებისთვის ჩვეულებრივ იბეგრება დღგ-ით.

4. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

ლარი	2019	2018
გიდების და მძღოლების შრომის ანაზღაურება	555,961	416,217
მიკრო მეწარმეების შრომის ანაზღაურება	43,314	34,958
სასტუმროს ხარჯები	2,991,521	1,127,824
რესტორნის ხარჯები	353,691	174,660
მუზეუმის ხარჯები	131,802	52,273
სატრანსპორტო ხარჯები	375,106	129,903
უცხოელი ბიზნეს პარტნიორების ხარჯები	645,139	83,724
სხვა ტურისტული ხარჯები	343,486	375,778
სულ თვითღირებულება	5,440,019	2,395,337

5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2019	2018
შრომის ანაზღაურება	417,311	307,096
მივლინების ხარჯები	24,153	73,103
ცვეთა და ამორტიზაცია	32,554	26,054
რეკლამის ხარჯები	6,953	11,643
იჯარა	25,647	16,426
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	43,699	6,868
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	550,318	441,190

6. სხვა საოპერაციო ხარჯები

ლარი	2019	2018
ბანკის საკომისიო	22,440	18,037
ქველმოქმედება	2,275	1,655
სხვა საოპერაციო ხარჯები	69,834	45,795
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	94,550	65,487

7. მოგების გადასახადი

ესტონური მოდელის დანერგვამდე (2017 წლამდე) კომპანიამ ჯამურად მოგების გადასახადი გადაიხადა 81,087 ლარი. 2017 და 2018 წელს კომპანიას გაცემული დივიდენდებიდან, მოგების გადასახადი პოტენციურად დაერიცხებოდა 41,653 ლარი, რომლის ჩათვლაც მოხდა, რადგან 2017 წლამდე უკვე გადახდილი იყო ეს თანხა.

2019 წელს კომპანიამ გასცა 576,812 ლარის ოდენობის დივიდენდი, რომელზეც პოტენციურად 101,790 ლარის მოგების გადასახადი უნდა დარიცხულიყო. ზემოაღნიშნული მიზეზის გამო ამ 101,790 ლარიდან 39,362 ლარის ჩათვლა მოხდა და 62,428 ლარის გადახდა, რომელის აღიარებაც მოხდა, როგორც 2019 წლის მოგების გადასახადი.

8. ძირითადი საშუალებები

ლარი	მიწის ნაკვეთები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება					
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	-	32,247	19,448	-	51,695
შემოსვლა	55,576	96,465	23,481	-	175,522
გასვლა	-	-	(10,782)	-	(10,782)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	55,576	128,712	32,147	-	216,435
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	55,576	128,712	32,147	-	51,695
შემოსვლა	48,551	59,100	8,818	369,594	486,063
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	104,127	187,812	40,965	369,594	702,498
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	-	(20,900)	(6,062)	-	(26,962)
ცვეთა და ამორტიზაცია წლის განმავლობაში	-	(21,741)	(4,537)	-	(26,278)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	-	(42,641)	(10,599)	-	(53,240)
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	-	(42,641)	(10,599)	-	(53,240)
ცვეთა და ამორტიზაცია წლის განმავლობაში	-	(27,361)	(5,193)	-	(32,554)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	-	(70,002)	(15,792)	-	(85,794)
საბალანსო ღირებულება					
2018 წლის 31 დეკემბერს	55,576	86,071	21,548	-	163,195
საბალანსო ღირებულება					
2019 წლის 31 დეკემბერს	104,127	117,810	25,173	369,594	616,704

დაუმთავრებელი მშენებლობა წარმოადგენს მშენებარე სასტუმროს, ჩხოროწყუს რაიონ სოფელ მუხურში. კომპანიამ სასტუმროს მშენებლობა 2019 წელს დაიწყო.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაუმთავრებელი მშენებლობა, ღირებულებით 369,594 ლარი და მიწის ნაკვეთები, ღირებულებით 55,576 ლარი, წარმოადგენენ ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფას (შენიშვნა 11).

9. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარი	2019	2018
ნაშთი ბანკში, ეროვნულ ვალუტაში	21,854	12,186
ნაშთი ბანკში, უცხოურ ვალუტაში	253,037	185,828
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	274,891	198,014

10. საგადასახადო აქტივები

ვინაიდან კომპანიის მიერ გენერირებული შემოსავალი, ძირითადად ჩათვლის უფლებითაა განთავსულობის დღე-სგან, ხდება გადახდილი დღე-ების დაგროვება, რითიც სხვა გადასახადების (საშემოსავლო, ქონება, მოგება, დივიდენდი) გადახდა ხორციელდება. ჩათვლილი დღე-ის ზედმეტობის ნაშთმა 2019 წლის ბოლოს შეადგინა 372,399 ლარი (2018: 85,897 ლარი).

11. სესხები და კრედიტები

წინამდებარე შენიშვნაში განხილულია ინფორმაცია ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული პროცენტის სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ.

ლარი	2019	2018
გრძელვადიანი ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	369,569	-
	369,569	-
მიმდინარე ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	80,595	-
	80,595	-
სულ სესხები და კრედიტები	450,164	-

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია დაუმთავრებელი მშენებლობითა და მიწის ნაკვეთით (შენიშვნა 8).

სესხის დაფარვის ვადები და გრაფიკი

გადაუხდელი სესხების ვადები და პირობები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31 დეკემბერი 2019	
				ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	ევრო	5.50%	2024	450,164	450,164
სულ პროცენტის ვალდებულებები				450,164	450,164

ვალდებულებების მოძრაობისა და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების შეჯერება

ლარი	სესხები და კრედიტები	სულ
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	-	-
შემოსულობები ნასესხები სახსრებიდან	453,894	453,894
ნასესხები სახსრების დაფარვა	(3,730)	(3,730)
საპროცენტო ხარჯი	1,156	1,156
გადახდილი პროცენტი	(1,156)	(1,156)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	450,164	450,164

12. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს დამფუძნებლის კაპიტალის ნომინალურ თანხას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში და 2018 წელს შესყიდული ავტობუსის თანხას. 2018 წელს კომპანიამ შეიძინა ავტობუსი 47,634 ლარის ექვივალენტად. აქედან კომპანიის დირექტორმა თავისი პირადი ფული დაამატა 23,579 ლარის ოდენობით და შემოიტანა საწესდებო კაპიტალში.

ლარი	2019	2018
სადამფუძნებლო საწესდებო კაპიტალი	300	300
ავტობუსის ყიდვისას დამატებული საწესდებო კაპიტალი	23,579	23,579
სულ ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი 31 დეკემბრის მდგომარეობით	23,879	23,879

2019 წელს კომპანიის 100%-იან მეწილეზე გამოცხადდა და გადახდილ იქნა დივიდენდები 576,812 ლარის ოდენობით (2018: 261,795 ლარი).

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის 100%-იანი მეწილე და აღმასრულებელი დირექტორი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის მანანა ცირამუა. 2019 წლის განმავლობაში მასზე გაცემული დივიდენდის ოდენობა მოცემულია შენიშვნა 12-ში.

14. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

COVID 19–ის აფეთქება

(i) ზოგადი მიმოხილვა

2020 წლის 11 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) COVID-19 კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. პირველი შემთხვევა საქართველოში ოფიციალურად 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა. ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომების ნაწილის სახით, საქართველოს მთავრობამ ქვეყანაში საქმიანობებზე გარკვეული შეზღუდვები დააწესა. სხვადასხვა დროს დაწესებული შეზღუდვები მოიცავს ტრანსპორტით მოგზაურობის აკრძალვას, ქვეყნის შიგნით ყველა მოგზაურობის შეზღუდვას კონკრეტული საათების განმავლობაში, ყველა საზოგადოებრივი ტრანსპორტის დახურვას, ყველა კომერციული საქმიანობის შეჩერებას, გარდა შემთხვევებისა, როდესაც შეიძლება საქმიანობა განხორციელდეს დისტანციურად, სახლიდან, აგრეთვე კონკრეტული ბიზნეს საქმიანობები (სასურსათო მაღაზიები, აფთიაქები, კომერციული ბანკები, ბენზინგასამართი სადგურები, ფოსტა და ა.შ.).

(ii) COVID 19-ის გავლენა კომპანიაზე

2019 წელს, კომპანიის შემოსავლის 99%-ს წარმოადგენდა ტურისტების ორგანიზებული შემოყვანა და მათთვის ტურ-პაკეტების მიწოდება. 2020 წლის პანდემიის ფაქტორმა პირდაპირ იმოქმედა კომპანიის საქმიანობაზე. ჩაიკეტა საზღვრები და შეუძლებელი გახდა ტურისტების შემოყვანა, რამაც გამოიწვია კომპანიის შემოსავლის წყაროს დაბლოკვა. კომპანია იძულებული გახდა თანამშრომელთა ნაწილი გაეთავისუფლებინა სამსახურიდან, ნაწილი - უხელფასო შვებულებაში გაეშვა და დარჩენილი თანამშრომლები დისტანციურ მუშაობაზე გადაეყვანა. კომპანიამ შეცვალა ოფისი, შეამცირა ყოველთვიური ხარჯი (საიჯარო ქირა) და აგრეთვე შეამცირა ხელფასები.

კომპანიამ ისარგებლა ბანკის ექსტენიანი საშეღავათო პერიოდით და ასევე მოახდინა სესხის ხელშეკრულების კორექტირება. კომპანიამ აგრეთვე ისარგებლა სახელმწიფოს მიერ საშემოსავლო გადასახადებზე დაწესებული შეღავათით, რითიც შეამცირა ხელფასის ხარჯი.

შენეღდა ასევე სასტუმროს მშენებლობა სამეგრელოში, ჩხოროწყუს რაიონ სოფელ მუხურში.


2020 წელს კომპანია შეძლებს ფუნქციონირებას და არ დაუდგება ლიკვიდურობის პრობლემები, რადგან არსებობს საკმარისი ფულის რეზერვი, რომლის ნაწილიც არის სესხი მშენებლობისთვის და ნაწილიც - დებიტორებისგან ჩარიცხული ავანსები.

კომპანია იმედოვნებს, რომ 2021 წელს ტურიზმი აღდგება, იღებს ჯავშნებს და ემზადება შემდეგი სეზონისთვის. ასევე, 2021 წლის ბოლოს, როცა ტურიზმი აღდგება, შესაძლებელი გახდება სასტუმროს დასრულებაც.

1-15 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 29 სექტემბერს ხელმძღვანელობის მიერ და ამ უკანასკნელის სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:



მანანა ცირამუა
გენერალური დირექტორი



საბა გეწაძე
ფინანსური დირექტორი